ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის განახლება 2024-2025 წწ.

ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. №11
ტელ: (0439) 22 10 14
ვებ-გვერდი: https://ambrolauri.gov.ge/

სარჩევი

შესავალი ----------3

1. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია მიზანი, ამოცანები და პრინციპები -4
2. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის შემუშავების პროცესი----------5
3. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიული პრიორიტეტები ----------6
4. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, მონიტორინგი და შეფასება ----------10

შესავალი

ეფექტური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საჯარო მმართველობა ღია და პასუხისმგებლიანი მთავრობის ფორმირება, მსოფლიოს ყველა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის პრიორიტეტია.

საქართველოს მთავრობამ აღიარა საჯარო მმართველობის რეფორმის მნიშვნელობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით, კარგ მმართველობაზე მისი ვალდებულების ხაზგასმით, მათ შორის, საჯარო მმართველობის რეფორმის საშუალებით , რომელიც 2015 წლიდან მიმდინარეობს.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მთლიანობის თვალსაზრისით არის ის, რომ მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ სტრატეგიული დოკუმენტები გამოწვევებისა და რისკების პროაქტიულად გასაანალიზებლად, საჭიროებების გამოსავლენად, გადაწყვეტილებების მისაღებად. ასევე აღსანიშნავია რომ ადგილობრივ დონეზე, არსებობს კარგი მმართველობისთვის პრინციპების შესაბამისი სტანდარტების, მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავების, გამართვის საჭიროება.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია შედგება სამი ნაწილისაგან: 1)სტრატეგიული დოკუმენტების მიზანი, ამოცანები, პრინციპები და შემუშავების პროცესი;

2) დოკუმენტების მონიტორინგის მექანიზმი;

3) სტრატეგიის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიას.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია განახლებადი დოკუმენტია და მისი განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი ცვლილებების შეტანა. სტრატეგიის განახლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ანგარიშები, შეფასებები, მონიტორინგისა და კვლევების შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტს გააჩნია გამჭირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, მოკვლევის და მერიის სამსახურების უფროსებთან თანამშრომლობის საფუძველზე შეფასდა არსებული სტრატეგიის განხორციელების

მდგომარეობა, გამოვლინდა ახალი გამოწვევები, დამატებით განისაზღვრა სტრატეგიული მიმართულებები და შემუშავდა სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დოკუმენტები, რომელიც მოქმედი სტრატეგიის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის ნაწილი გახდება.

1. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის მიზანი, ამოცანები და პრინციპები

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის მთავარი **მიზანია,** მუნიციპალიტეტებში კორუფციის რისკების შეფასების საფუძველზე იდენტიფიცირებულ გამოწვევებზე რეაგირებისთვის, მუნიციპალიტეტების 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების ერთიანი პოლიტიკის შექმნა, მუნიციპალური მმართველობის ორგანოთა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდით საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და ჩართულობა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის ჩამოყალიბება, რაც შეესაბამება დეცენტრალიზაციისა და საჯარო ადმინისტრირების რეფორმების (PAR) პრიორიტეტებს.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის **ამოცანებია:**

- მუნიციპალიტეტის სამსახურების კეთილსინდისიერების, ღიაობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების განმტკიცება;
- გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების თაობაზე საზოგადოებრივი ინფორმირებულობის გაზრდა.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების პოლიტიკის განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ **პრინციპებს/მიდგომებს:**

ანგარიშგება და კეთილსინდისიერება: ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურების ანგარიშგება და გამჭვირვალობა ხელს უწყობს კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრასა და მის პრევენციას. შესაბამისად, აქცენტი უნდა გაკეთდეს პასუხისმგებელ უწყებებში პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობის გაზრდაზე, ანგარიშვალდებულების პრინციპების დანერგვასა და დისკრეციული უფლებამოსილების დაბალი ხარისხის უზრუნველყოფაზე.[1]

მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომა: გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, კორუფციის პრევენციის შესახებ კონვენცია (2003), მუხლი 5; გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, „ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების სახელმძღვანელო“ (2003), გვ. 57-58.

პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს კორუფციის გამომწვევი ფაქტორებისა და რისკების შესწავლას, განხორციელებული ღონისძიებების ანალიზსა და წინა სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების შეფასებას.[2]

შედეგზე ორიენტირებული მიდგომა: გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვისას დასახული უნდა იყოს რეალისტური მიზნები და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონკრეტულ ღონისძიებებთან დაკავშირებული საბაზისო/არსებული მონაცემები, რომელიც შემდგომ ღონისძიებების შედეგების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.[3]

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა: სტრატეგიის შემუშავების, განხორციელების პროცესში გათვალისწინებულ იქნას ადამიანის უფლებები (ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ჩართულობა და სხვ.)

2. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტები შემუშავებულ იქნა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის პრინციპებზე დამყარებით.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტების შემუშავების პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

1. მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების შესაძლებლობების გაძლიერებას კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებაში
2. მოკვლევის ინსტრუმენტის შემუშავება, მონაცემების მოგროვება, დამუშავება და იდენტიფიცირებული სტრატეგიული პრიორიტეტების შეთანხმება და ვალიდაცია;
3. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, ასევე მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო დოკუმენტის სამუშაო ვერსიების შემუშავება;
4. სტრატეგიული დოკუმენტების განხილვები დაინტერესებულ მხარეებთან.

3. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიული პრიორიტეტები

[2] ანტიკორუფციული სტრატეგიების შესახებ კუალა ლუმპურის შეთანხმება (2013).

[3] გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, „ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების სახელმძღვანელო“ (2003), გვ. 43.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეფექტური პოლიტიკის შექმნის მიზნით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საჭიროებების კვლევის და კორუფციული რისკების ანალიზის საფუძველზე (იხ. დანართი #1) განისაზღვრა შემდეგი ხუთი პრიორიტეტი:

1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
2. ღიაობა, მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება
3. ეთიკა და კეთილსინდისიერების პოლიტიკა
4. ადამიანური რესურსების მართვა
5. ჯანდაცვა და სოციალური დაცვა

1. საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება დემოკრატიული მმართველობის შემადგენელი ნაწილია, თავის მხრივ, მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს სწორედ ინფორმაციის გამჭირვალობა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება წარმოადგენს.

სტრატეგიის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის მიღწევა, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფითა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა.

2013 წლიდან ყველა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია პროაქტიულად გამოაქვეყნოს საჯარო ინფორმაცია და შეიმუშავოს ინფორმაციის ელექტრონული წესით მოთხოვნისთვის საჭირო მექანიზმი; ამასთან, ამავე წელს სამოქალაქო და სამთავრობო სექტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომლის დანართი მოიცავს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას.[4] ასევე, 2013 წლის სექტემბერიდან მოქალაქეთა პორტალზე - www.my.gov.ge, ინტეგრირებულ იქნა საჯარო ორგანიზაციებთან ელექტრონული კომუნიკაციის სერვისი, რაც საჯარო ინფორმაციის ელექტრონული გამოთხოვის შესაძლებლობას იძლევა.

ინფორმაციის გამჭირვალობის მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტს აქვს გამართული ვებ-გვერდი[5] და ოფიციალური ფეისბუქ-გვერდი[6]. 2023 წლის ადგილობრივი თვითმართველობის ინდექსის მიხედვით

[4] „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ 2013 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილება №219.
[5] http://www.ambrolauri.gov.ge
[6] https://www.facebook.com/ambrolaurimunicipality/?locale=ka_GE

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი საუკეთესო ხუთ მუნიციპალიტეტში შედის. საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2023 წლის ეროვნული შეფასების შედეგების მიხედვით, შეფასების 100%-იან შკალაზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა 66% მოაგროვა, რაც 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით 29% - ით არის გაზრდილი. ასევე გაზრდილია საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, გათვალისწინებულია ინფორმაციის მოთხოვნისთვის საჭირო მექანიზმები, ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, რომელიც საჯარო ინფორმაციის გაცემაზეა პასუხისმგებელი. თუმცა მოსახლეობის ინფორმირების მნიშვნელოვან წყაროდ მაინც რჩება მერის წარმომადგენლები. მოგეხსენებათ ამბროლაური მუნიციპალიტეტი სრულ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა, შესაბამისად ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელების ალტერნატიული გზების გამოყენების მნიშვნელობა კვლავ აქტუალურია.

უნდა აღინიშნოს მოსახლეობისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღებისა და გაცემის პროცედურებთან დაკავშირებული გამოწვევა. მიზანშეწონილად ჩაითვალა მოსახლეობის და დაინტერესებული პირებისთვის საჯარო ინფორმაციის გაცემის და მიღების პროცედურებთან და ვადებთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურების გაწერა და გასაჯაროება. ასევე საჯარო ინფორმაციის პროქტიულად გამოქვეყნების მიზნით საქართველოს მთავრობის N219 დადგენილების შესაბამისად მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება.

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა გაზრდის მიზნით:

1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების/გავრცელების მიზნით მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება
2. საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურების გამართვა

2. ღიაობა, მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება

გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მიზნით მუნიციპალიტეტი ვალდებულია იმოქმედოს ღიად და ხელი შეუწყოს მონაწილეობას და ანგარიშვალდებულებას, ანგარიშების და სხვა შესაფერისი ინფორმაციის გამოქვეყნებას

მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავებაში, სერვისების განსაზღვრაში, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი ხარისხი. სამწუხაროდ მექანიზმები, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას შეუძლია ჩაერთოს არ არის მრავალფეროვანი და ყველასთვის ხელმისაწვდომი. როგორც უკვე აღინიშნა მოსახლეობასთან საკომუნიკაციოდ ერთადერთი წყარო მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ. გვერდი და სოციალური ქსელების გამოყენების გარდა არის მერიის წარმომადგენელი, რადგან მოგეხსენებათ ინტერნეტზე

ხელმისაწვდომობა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. მნიშვნელოვანი იქნება მოსახლეობის გამოკითხვის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ალტერნატიული გზების გამოყენება.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მუნიციპალიტეტი, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით უფრო ეფექტურად შეძლებეს საჯარო ხარჯების პრიორიტეტულობის განსაზღვრას, რაც ხელს შეუწყობს სოციალური კონფლიქტების შემცირებას და გაზრდის საზოგადოების კეთილგანწყობას მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ.

როდესაც ვაანალიზებთ ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლების მოვალეობებს და თუ რამხელა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მათ მოსახლეობაზე, იმთავითვე ცხადი ხდება სტანდარტების, მორალური ნორმების და სამუშაო გარემოს და პირობების მნიშვნელობა, სადაც არა მარტო მერის წარმომადგენლების და ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომლებისთვის იქმნება გარემო, არამედ მოსახლეობისთვის.

შესაბამისად სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტები:

- **მოსახლეობის საჭიროებაზე მორგებული მუნიციპალური ბიუჯეტის შემუშავება**
- **მერიის სამსახურების მიერ განხორციელებული საქმიანობის წლიური ანგარიშის თანამშრომლებისთვის გაზიარება/გაცნობა**
- **მინიმუმ ორ ადმინისტრაციულ ერთეულში მერი წარმომადგენლებისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესება**

3. ეთიკა და კეთილსინდისიერების პოლიტიკა

კორუფციას მრავალი გამოვლინება შეიძლება ჰქონდეს, რომელთაგან ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად თვალსაჩინოა. ამდენად, დაბნეულობის და გამორჩენის თავიდან ასაცილებლად, უნდა არსებობდეს მკაფიო განაცხადი იმის შესახებ, თუ რას მოელიან პერსონალისგან, რა არის ან არ არის მისაღები, როგორ უნდა აარიდოს თავი პერსონალმა კონფლიქტურ სიტუაციას ან როგორ მოიქცეს ასეთ სიტუაციაში. ყველაფერი ეს კი უნდა ეფუძნებოდეს ქცევის დადგენილი სტანდარტების შესრულებას. ქცევის კოდექსის არის დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტის, რომელიც არის განაცხადი ღირებულებების შესახებ, რადგან ეს დოკუმენტები ხშირად ტექნიკური ენითაა დაწერილი, მათ თან უნდა ახლდეს ინსტრუქციები განმარტებებით. ქცევის კოდექსი ქცევის ნორმების და საერთო ღირებულებების ნაკრებია, რომელიც უნდა იყოს მკაფიო, მოკლე და გასაგები.

ქვეყანაში ეფექტური ანტიკორუფციული სისტემის შესაქმნელად აუცილებელია მხილებისა და მამხილებელთა დაცვის გამართული და ქმედითი მექანიზმის არსებობა. მამხილებელთა დაცვის

პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით შექმნილია ელექტრონული სისტემა www.mkhileba.gov.ge . ამ სფეროში რეფორმა საქართველოში 2015 წელს დაიწყო. როგორც აღმოჩნდა მხილების მექანიზმი დანერგილი არ არის და საჭიროა მისი ამოქმედება.

ეთიკისა და ქცევის ნორმების აღსრულების მექანიზმი განვითარების მიზნით განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტები:

- მერიის ორგანიზაციული სტრუქტურის, კულტურის, სამსახურების საქმიანობის, პროგრამების და სერვისების შესახებ სახელმძღვანელოს / ბროშურის შემუშავება
- **მერიაში კორუფციული რისკების შეფასების სისტემის დანერგვა**
- **მერიაში შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერება**
- **მერიაში მხილების ელექტრონული მექანიზმის შექმნა (პერსონალური მონაცემების დაცვით)**
- **მხილების საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებისთვის ღონისძიებების გატარება**

4.ადამიანური რესურსების მართვა

წარმატების მისაღწევად, ორგანიზაციისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომლის და მისი მისწრაფებების დაკავშირება კორპორატიულ ინტერესებთან. სწორედ ეს არის ადამიანური რესურსების მართვის ფუნქცია. იგი ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდია ორგანიზაციასა და მასში დასაქმებულ ინდივიდებს შორის. მნიშვნელოვანია შეიქმნას იმგვარი გარემო, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში.

ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია გულისხმობს ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში.

ნებისმიერი სტრატეგიის საფუძველს არსებული მდგომარეობის, ორგანიზაციის საჭიროებების ანალიზი წარმოადგენს. ანალიზი, რომლის დროსაც ხდება ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების, არსებული სისტემების, მატერიალური, ფინანსური თუ ადამიანური პოტენციალის, აგრეთვე სხვა ფაქტორების შესწავლა/შეფასება.

მოკვლევის საფუძველზე იდენტიფიცირებული საჭიროებების საფუძველზე, სადაც თავადამბროლაურის მერიის თანამშრომელები იღებდნენ მონაწილეობას, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა მიზნით განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტები:

- **მერის თანამშრომელთა განახლებული სამუშაო აღწერილობა**
- **პროფესიული განვითარება**
- **თანამშრომელთა სამოტივაციო სისტემის გამართვა**

5. ჯანდაცვა და სოციალური დაცვა

მუნიციპალური სერვისების კვლევის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა მერიაში ჯანდაცვის და სოციალური დაცვის პროგრამების დაგეგმვის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის აუცილებლობა ასევე ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება

4. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, მონიტორინგი და შეფასება

გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის მშენებლობის პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ სტრატეგიული დოკუმენტების არსებობასა და შემუშავების პროცესზე, არამედ მათი შესრულების ხარისხზე და ამ მიმართულებით მიღწეულ შედეგებზე.[7]

სტრატეგიული დოკუმენტების მონიტორინგი და შეფასება მიზნად ისახავს შეაფასოს გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის სტრატეგიითა და მისი შესრულების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების იმპლემენტაციის პროცესი, ასევე მიღწეული შედეგები, მათი ეფექტიანობა და გამოავლინოს არსებული ხარვეზები.

მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი უნდა მოიცავდეს შემდეგ სამ კომპონენტს: **1) პროგრესის შესახებ ანგარიში; 2) მონიტორინგის ანგარიში; 3) შეფასების ანგარიში**.

სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელია ამბროლაურის მერიის ადმინისტრაციული სამსახური ან შიდა აუდიტის სამსახური. ამასთან, თითოეულ სამსახურის ხელმძღვანელები ინფორმირებული არიან სამოქმედო გეგმით დაკისრებული ვალდებულებების შესახებ და პასუხისმგებელები არიან მათი შესრულებაზე და ანგარიშების მომზადებაზე.

[7] ევროპის საბჭო, „ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება“ (2013), გვ. 51.